# ბაკურიანში „თეთრი სპარტაკიადა“ საზეიმოდ დაიხურა




პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№54 (5084)

1974 წ. 17 მარტი, კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი ო. გელაშვილი ბაკურიანიდან გვატყობინებს

•

## გიორგი ჯიჩოევის „ბრინჯაო“

ბაკურიანი, 16 მარტი. დღეს აქ გათამაშდა ოქროს მედლები კიდევ ორ სახეობაში. ეს იყო სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის ფინიში. შეჯამდა პირად-გუნდური ბრძოლების შედეგები და ყველა პრიზი განაწილდა.

გუშინ ამინდი ისე გაჭირვეულდა, რომ იძულებული გახდნენ ტრამპლინიდან ხტომასა და სამთოსათხილამურო სპორტში შეჯიბრებები რამდენიმე საათით ადრე დაეწყოთ.

15 მარტს „თეთრი სპარტაკიადის“ ცენტრში ნამდვილი გაზაფხულის წვიმა იყო. ტრამპლინის დაქანებისა და დაშვების ფერდობებს საფრთხე ემუქრებოდა. კონტრფერდობზე ნახერხისა და თოვლის დამატება გახდა საჭირო. მუშები, მსაჯები და, ასე გასინჯეთ, ჟურნალისტებიც კი ტრამპლინის მოსამზადებლად კარგა ხანს წვიმაში მუშაობდნენ.

კოხტაგორაზე კი 139 ვაჟი და იუნიორი სპეციალური სლალომის ნახევარფინალში ასპარეზობდა. 6-კაციან ჯგუფებად დაყოფილი სპორტსმენებისთვის ორი 450-მეტრიანი ტრასა მოეწყო. ყოველი ჯგუფიდან ფინალში 3 სპორტსმენი უნდა გასულიყო. ის, ვინც პირველ ცდაზე ორ საუკეთესო მაჩვენებელს მოიპოვებდა, ფინალის საგზურს ღებულობდა, მესამე საგზურისთვის კი ოთხი დანარჩენი მოთხილამურე ბრძოლას მეორე ტრასაზე აგრძელებდა.

მასპინძელთა გუნდის წევრები კარგად გამოვიდნენ. ი. ნასყიდაშვილმა, გ. ჯიჩოევმა, ა. სტეპანიანმა და რ. აკოფოვმა ფინალში იოლად გაიკაფეს გზა. ფინალის საგზური მიიღო პირად ტურნირში მოასპარეზე დ. თვაურმაც. იუნიორებზე ამას ვერ ვიტყვით. ლ. ბანდურსაც, რომელიც გუნდურ შეჯიბრებაში გამოდის, და გ. ფანჯაკიძესაც, რომელიც პირადი პირველობისთვის იბრძვის, ასპარეზობის გაგრძელების უფლების მოსაპოვებლად ორ-ორჯერ დაშვება დასჭირდათ. სხვა იუნიორები ამაოდ დაშვრნენ. ერთი სიტყვით, ბოლო სახეობაში საქართველოს 7 სპორტსმენი გამოდის. წინასწარ ვიტყვით, რომ ვაჟთა გუნდს ამ სახეობაში წარმატების დიდი შანსი აქვს. ყველაფერი დამოკიდებული იყო იმაზე, თუ სპორტსმენები ფინალში ძალებს როგორ გაანაწილებდნენ.

ფინალისტებისთვის ტრასის გაწყობა გუშინვე სპორტის ოსტატებს გ. აბრამიშვილსა და ტ. მონასტირიოვს დაევალათ. აბრამიშვილმა 450-მეტრიანი (46 კარი) დისტანცია მოაწყო, ხოლო მონასტირიოვმა — 465-მეტრიანი (45 კარი). მათ შორის სიმაღლეთა სხვაობა ორივე დისტანციაზე 170 მეტრი იყო.

როგორც წესი, უძლიერესთა 15-კაციანი ჯგუფი შარშანდელი შედეგების გათვალისწინებით შედგა. სხვა ჯგუფებში კი კენჭის საყრელად ყველა გუნდიდან თითო სპორტსმენი შეიყვანეს. ოღონდ ახლა მონაწილენი მწვრთნელებს უნდა დაესახელებინათ. ასე მოხვდა მეორე ჯგუფში ნასყიდაშვილი, მესამეში — სტეპანიანი, მეოთხეში — აკოფოვი, მეხუთეში — ბანდური (პირადი ტურნირის მონაწილეებისთვის ცალკე ჯგუფი შედგა).

ფინალი მეტად დაძაბული და საინტერესო გამოდგა. ამ შეჯიბრების კომენტირება ვთხოვეთ საბჭოთა კავშირის ხალხთა ზამთრის I სპარტაკიადის ჩემპიონს სპეციალურ სლალომში, ბაკურიანელ სპორტის ოსტატს ი. ჯანგობეგოვს.

— სამთოსათხილამურო სპორტში ეს სახეობა ყველაზე რთულია. სპორტსმენისგან იგი დიდ ენერგიას, ტექნიკას და საზრიანობას მოითხოვს. განსაკუთრებით საჭიროა მხედველობითი მეხსიერება. ამ შეჯიბრებაში წარმატების ყველაზე მეტი შანსი აქვთ სერგეი გრიშჩენკოს, მიხეილ ლოგინოვს, ნიკოლოზ სნეჟუროვს და, რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის შარშანდელ ჩემპიონს იანის ციაგუნსს. ჩვენი სპორტსმენებიდან კი გიორგი ჯიჩოევს და იოსებ ნასყიდაშვილს დავასახელებდი. ერთი სიტყვით, ბრძოლა შეუპოვარი იქნება.

— სტარტზეა ნიკოლოზ სნეჟუროვი! — აცხადებს დიქტორი.

— უყურეთ. როგორ მოხდენილად ეშვება, რა ეკონომიურად



მოდის. 46,23. კარგი შედეგია, მაგრამ შეიძლება სხვებმა აჯობონ, — გვეუბნება ჯანგობეგოვი.

მოსკოველი ა. ვოლობუევი, ყაზახეთის გუნდის წევრი ა. ლეონტიევი და უკრაინელი ვ. მარკინი კარგად დაეშვნენ, მაგრამ ლიდერის შედეგის გაუმჯობესება ვერ შეძლეს.

გრიშჩენკომ ელვისებურად დაიწყო და დისტანციის ნახევარი უნაკლოდ გაიარა. დიქტორი აცხადებს შედეგს — 45,44. ლენინგრადელი ოსტატი დაწინაურდა.

გრიშჩენკოს ჯიჩოევი მოჰყვა — 46,30, ჯიჩოევის შემდეგ ციაგუნსი დაეშვა — 45,52. მერე მ. ვერეზგოვმაც (ლენინგრადის ოლქი) კარგი შედეგი აჩვენა — 46,59. 47 წამის ზღვარი გადალახეს ა. ლებედევმა (უკრაინა) — 46,96, და ლოგინოვმაც — 46,74.

— დანარჩენი ჯგუფებიდან ყველაზე მეტი შანსი ხოხოს აქვს. დაველოდოთ, როგორ გაივლის ტრასას, — ამბობს ჩვენი კომენტატორი.

ნასყიდაშვილმა სტარტი შესანიშნავად აიღო, მაგრამ უხეიროდ დაასრულა: შუა დისტანციაზე დაეცა, ერთხანს ბრძოლის გაგრძელება სცადა, გზა განაგრძო, მაგრამ, ეტყობა, გადაიფიქრა და სარბიელი დატოვა. დასანანია, რომ ოსტატმა კოლექტივის ინტერესები დაივიწყა. მარცხის მიუხედავად, მას ოცეულში მოხვედრისთვის შეეძლო ებრძოლა და რესპუბლიკის ნაკრებისთვის რამდენიმე ქულა მაინც მიეცა.

საქართველოს გუნდის სხვა წევრებმა: ა. სტეპანიანმა, რ. აკოფოვმა და ლ. ბანდურმა, მართალია, ბრწყინვალე შედეგები ვერ აჩვენეს, მაგრამ გუნდის ინტერესებისთვის ბრძოლის გაგრძელების უფლება მაინც მოიპოვეს.

— გახდება გრიშჩენკო ჩემპიონი?

— ძნელი სათქმელია. ვინ იცის, მეორე ცდაზე რა მოხდება. თუ მეორე ტრასაც უშეცდომოდ გაიარა, ოქრო მას დარჩება.

მეორე ცდა ლოგინოვმა დაიწყო — 39,53.

— კარგი შედეგია, მაგრამ გრიშჩენკოს რეზერვში 1,30 წამი აქვს. ვფიქრობ, ლოგინოვს მისი დამარცხება გაუჭირდება. ლენინგრადელს თუ აჯობა, ციაგუნსს მაინც ვერ გაუსწრებს. ოქროს მედლის ბედი ახლა წყდება.

ჯანგობეგოვის სიტყვები გამართლდა. ციაგუნსმა მეორე ცდა ლოგინოვთან წააგო (40,72), მაგრამ ორი დაშვების ჯამში მას 0,03 წამით აჯობა.

ჩვენს საუბარში ჯიჩოევი ფინიშთან მიიჭრა.

— ჯამში 1.27,59. ჯერჯერობით მესამე შედეგია, — გამოაცხადა დიქტორმა.

გრიშჩენკოს ხელი მოეცარა — შუა დისტანციაზე დაეცა.

საქართველოს სპორტსმენებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ჯიჩოევი. იგი ჩვენი რესპუბლიკის სამთომოთხილამურეთა შორის ერთადერთი სპორტსმენი იყო, რომელმაც სამივე სახეობაში ჩათვლა მიიღო და ყველაზე მეტი ქულა მოგვცა.

### ტექნიკური შედეგები

ვაჟები: ი. ციაგუნსი (ლატვია, „ვარპა“) — 1.26,24 (45,52, 40,72); მ. ლოგინოვი (პერმის ოლქი, „ბურევესტნიკი“) — 1.26,27 (46,74, 39,53); გ. ჯიჩოევი (საქართველო, „დინამო“) — 1.27,59 (46,30, 41,29); ნ. სნეჟუროვი (ლენინგრადი, შრ. რეზერვები) — 1.27,59 (46,23, 41,36); ვ. ბორისოვი (მურმანსკის ოლქი) — 1.28,27 (47,68, 40,59); ს. პენიგინი (ბელორუსია, „ბურევესტნიკი) — 1.29,03 (49,02, 40,01); რ. აკოფოვი (საქართველო, „ბურევესტნიკი“) — 1.34,26 (XIV ადგილი); ა. სტეპანიანი (საქართველო, „სპარტაკი“) — 1.34,50 (XVII).

• • •

...იმ დროს, როცა კოხტაგორაზე სამთომოთხილამურე ვაჟები ასპარეზობდნენ, „მფრინავმა მოთხილამურეებმა“ 90-მეტრიან ტრამპლინზე დაიწყეს ბრძოლა. სტარტზე 67 სპორტსმენი გამოვიდა.



წლევანდელი სპარტაკიადის ჩემპიონი მ. გავა მეხუთე ეშვებოდა. პირველ ჩასათვლელ ცდაზე იგი 96 მეტრზე გადახტა, რაც მსაჯებმა 104,9 ქულით შეაფასეს. მედლების სხვა მაძიებლებმა ორიენტირად სწორედ ეს შედეგი აიღეს და შეეცადნენ მისთვის ეჯობნათ. მართლაც, ამ ცდაზე გავას რამდენიმე სპორტსმენმა გაუსწრო. სპორტის დამსახურებული ოსტატი კ. წაქაძე 108,5 მეტრზე გადახტა. ამან მას 114,7 ქულა მოუტანა. შემდეგ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, საბჭოთა კავშირის ექს-ჩემპიონი, ლე-

(დასასრული მე-2 გვ.).

• • •



სურათზე: გ. ჯიჩოევი დისტანციაზე.

ო. გელაშვილის ფოტო.

## ალამი დაეშვა

ბაკურიანში ასპარეზობა დამთავრდა. ტრამპლინების კონტრფერდობზე საპატიო კვარცხლბეკი დადგეს. ბოლო სახეობებში გამართულ შეჯიბრებათა პრიზიორებს მედლები და საჩუქრები გადასცეს... 16 მარტს დიდი სპორტიდან გააცილეს ჩვენი რესპუბლიკის სასიქადულო „მფრინავი მოთხილამურე“, სპორტის დამსახურებული ოსტატი კობა წაქაძე, რომელსაც საკავშირო და რესპუბლიკური სპორტკომიტეტების და სხვა ორგანიზაციების სამახსოვრო საჩუქრები გადაეცა. საჩუქრები გადაეცა, აგრეთვე, საერთაშორისო არბიტრს პ. დემენტიევს, რომელიც ათეული წლების მანძილზე ავარჯიშებდა კობას.

სიტყვა წარმოთქვა სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ჩერქეზიამ, რომელმაც სპარტაკიადის მონაწილეებს მომავალ ასპარეზობებში ახალ-ახალი წარმატებები უსურვა, ხოლო მსაჯთა კოლეგიას, რომელმაც ბაკურიანში 10 დღის განმავლობაში დაუღალავად იშრომა, მადლობა გამოუცხადა.

ასპარეზობის ალამი მესამე სპარტაკიადის ჩემპიონებმა დაუშვეს.

[illegible] 1974

ეროვნული ბიბლიოთეკა








# გიორგი ჯიჩოევის „ბრინჯაო"

დასასრული

ნინგრადელი ა. ჟეგლანოვი დაეშვა. მისი შედეგი 107 მეტრი (121,8 ქულა) იყო. სპორტის დამსახურებული ოსტატი, გორკელი გ. ნაპალკოვი 98 მეტრზე გადახტა, ფალუნის მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი, კიროველი ოსტატი ა. ბოროვიტინი — 109 მეტრზე. მაგრამ პირველი ცდით ყველას გორკელმა სპორტის ოსტატმა ვ. კლეპაცკიმ აჯობა — 118,5 მ (131,4 ქულა). მაგრამ „მფრინავ მოთხილამურეთა" შეჯიბრებაში მთავარი მაინც მეორე ცდაა. ლიდერთა შორის პირველი ახლაც გავა გადმოხტა. შედეგი დიდოსტატური იყო — 108,5. ორი ცდის ჯამში გავამ 227,8 ქულა დააგროვა და ჩემპიონატის ლიდერი გახდა. წაქაძემ რისკი არ გასწია. პირვანდელი მაჩვენებელი 4 მეტრით გააუარესა და საბოლოოდ 224,2 ქულა დააგროვა. ამ ცდაზე 100 მეტრს იქით გადახტა ჟეგლანოვი, რამაც მას ჩემპიონობა მოუტანა.

ტექნიკური შედეგები

ა. ჟეგლანოვი (ლენინგრადი, „შრ. რეზერვები") — 289,4 ქულა (ნახტომები 107 და 104 მ); ვ. კლეპაცკი (გორკის ოლქი, „ბურევესტნიკი") — 287,1 (118,5 და 98); ი. ივანოვი (კარელიის ასსრ, „სპარტაკი") — 284,4 (107,5 და 108,5); ა. ბოროვიტინი (კიროვის ოლქი, „დინამო") — 282,4 (109 და 98,5); ა. პეტროვი (ტომსკის ოლქი, „სპარტაკი") — 280,0 (106,5 და 101); მ. გავა (საქართველო, „დინამო") — 227,8 (96 და 108,5); კ. წაქაძე (საქართველო) 224,2 (108,5 და 99,5, X ადგილი); გუნდური შედეგები (70- და 90-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომის ჯამი): გორკის ოლქი — 189 ქულა, ლენინგრადის ოლქი 188, მოსკოვის ოლქი — 154, საქართველო — 104, ტომსკის ოლქი — 73, ლენინგრადის ოლქი — 72.

● ● ● ●

# ცნობები სვერდლოვსკიდან

სვერდლოვსკი, 15 მარტი. უკტუსის ფერდობებზე მოეწყო ახალგაზრდული ესტაფეტა 4×10 კმ. რსფსრ-ს პირველმა ნაკრებმა თანდათან უფრო მეტად ჩამოიტოვა მეტოქეები, რომელთაგან ყველაზე სახიფათონი ლენინგრადელები იყვნენ. ლენინგრადელებმა მართლაც მიაღწიეს მიზანს და გაიმარჯვეს. გუნდში იყვნენ: ე. ბელიაევი, ტ. სოფრონოვი, ს. კრაინოვი, ი. სოცკოვი.

ბიატლონისტთა შორის ბადალი არ ჰყავდა მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონს ა. ტიხონოვს. 20 კმ-ზე სროლით რბოლაში მან 1:22.11,65 აჩვენა. მეორე და მესამე პრიზიორებიც ციმბირელები არიან: ნოვოსიბირსკელი ვ. ამოსოვი და ჩიტელი გ. კოვალიოვი.

საღამოს დამთავრდა შეჯიბრება „იუნოსტის" საციგურაოზე. პირველი ოქროს მედალი მოიპოვა ლენინგრადელმა ნ. სტატკევიჩმა, რომელმაც 3000 მეტრზე 5.00,58 აჩვენა. ვერცხლის მედალი ხვდა გორკელ ტ. ავერინას.

ვაჟთა შეჯიბრებაში 1500 მეტრზე ყველას აჯობა სვერდლოვსკელმა ი. კონდაკოვმა — 2.05,63.

500 მეტრზე პირველი იყო მოსკოვის ოლქის წარმომადგენელი ი. მურატოვი — 40,83.

სურათებზე: ბიატლონისტები ცეცხლის ხაზზე; ტ. ავერინა და მისი მწვრთნელი ბ. სტენინი.

ვ. ტრუშნიკოვის ფოტოები.

# სსრკ ხალხთა ზამთრის სპარტაკიადა 1974

# ჩემპიონი ვერ გამოვლინდა

თბილისში, ჭადრაკის სასახლეში, დამთავრდა საქართველოს XII ჩემპიონატი ასუჯრიან შაშში.

I ეტაპზე (ნახევარფინალი), რომელიც შვეიცარიული სისტემით (8 ტური) ჩატარდა, თამაშობდა 28 მოშაშე თბილისიდან, სოხუმიდან, ბათუმიდან, რუსთავიდან, ცხინვალიდან, კასპიდან, ფოთიდან, მახარაძიდან. ტურნირში უკონკურსოდ მონაწილეობდა გროდნოელი ოსტატობის კანდიდატი მ. მინკო.

ფინალში თამაშობდნენ პირველ ცხრა ადგილზე გასული მოშაშეები. პერსონალურად მიწვეულების — ცნობილი ოსტატების თ. ბარამიძის, გ. ბარამიძისა და ბ. შავერდიანის მაგიერ ტურნირში დაშვებული იყვნენ ფოთელები ა. კონჯარია, მ. ცანავა და ბათუმელი ჯ. თედორაძე. ბრძოლის პროცესში შეჯიბრებას გამოაკლდნენ ვ. კანდელაკი (კასპი) და ვ. გობოზოვი (ცხინვალი).

ჩემპიონატი უაღრესად დაძაბული იყო. I-II ადგილები გაიყვეს ოსტატმა ს. თომაშვილმა და თბილისის ჩემპიონმა ა. ჩარგეიშვილმა — 9-9 ქულა 11-დან. ამ დღეებში გამარჯვებულნი ჩემპიონის გამოსავლინებლად მატჩს (6 პარტია) ითამაშებენ.

III ადგილზეა რესპუბლიკის შარშანდელი ჩემპიონი ვ. ბახტაძე — 6,5 ქულა. შემდეგ მოდიან: ცანავა — 6,5 (კოეფიციენტთა ცხრილით მას უფრო დაბალი მაჩვენებელი აქვს, ვიდრე ბახტაძეს), თედორაძე, შ. ბოთერაშვილი (თბილისი), მინკო, ბ. ლიტვაკი (თბილისი), კონჯარია — 4,5-4,5, ვ. ინწკირველი — 3,5, ნ. ძამუნაშვილი, გ. ამირხანოვი (სამივე — თბილისი) 3-3.

ტურნირმა ცხადყო ნიჭიერი ახალგაზრდების — ჩარგეიშვილის, ბოთერაშვილის, ცანავას (მან ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა) და სხვების შემოქმედებითი ზრდა.

დასასრულ უნდა გამოვთქვათ გაოცება იმის გამო, რომ ჩემპიონატში არც ერთი ქუთაისელი მოშაშე არ მონაწილეობდა. ეს მაშინ, როცა ქუთაისელი ოსტატობის კანდიდატები ს. მოძღვრიშვილი და ზ. შალამბერიძე წლების მანძილზე რესპუბლიკის ნაკრებში შედიოდნენ. ახლა არც ეს მოშაშენი ჩანან სარბიელზე.

**ს. პახლაჯიანი,**
**ჩემპიონატის მთავარი მსაჯი, სპორტის ოსტატი.**

# იქ, სადაც სწავლაც უყვართ და სპორტიც

დიდხანს, დიდხანს ემახსოვრებათ ეს დღე მე-100 საშუალო სკოლის მოსწავლეებს...

სკოლის სპორტული დარბაზი საზეიმოდ იყო მორთული. მოსწავლეები ატარებდნენ ლიტერატურულ მონტაჟს: „ქართველი სპორტსმენები დიდ სარბიელზე".

სახელდახელოდ მოწყობილი გამოფენის ფარებზე უხვად იყო თავმოყრილი ლიტერატურა, რომელშიც ასახულია ქართველი სპორტსმენების ცხოვრება. ამ საინტერესო შეხვედრას ესწრებოდნენ ადამიანები, რომელთა სპორტული მიღწევები ოქროს ასოებითაა ჩაწერილი საბჭოთა სპორტის ისტორიაში.

მოსწავლეები მიმზიდველად და შინაარსიანად ლაპარაკობდნენ ჩვენი სახელოვანი ქართველი სპორტსმენების მიღწევებზე. გაიხსენეს მრავალი მღელვარე ეპიზოდი მათი სპორტული ცხოვრებიდან, გაიხილეს სპორტის ყველა ის სახეობა, რომლებშიც წარმატებით გამოდიოდნენ და გამოდიან ქართველი სპორტსმენები.

მოსწავლეებს გულთბილად ესაუბრნენ ქართული სპორტის ვეტერანები: ა. ჯაფარიძე, გ. გაგუა, მ. ჯუღელი, რ. შავლაყაძე...

სკოლის ბიბლიოთეკარმა ნ. ამაშუკელმა მოსწავლეთა სახელით მადლობა გადაუხადა საპატიო სტუმრებს და წარმატებები უსურვა პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. აღნიშნა, აგრეთვე, ის დიდი დახმარება, რომელიც გაუწია სკოლის ბიბლიოთეკას საქართველოს სახელმწიფო რესპუბლიკურმა საბავშვო ბიბლიოთეკამ სპორტული ლიტერატურის პროპაგანდის საქმეში.

ამის შემდეგ მოეწყო სპორტული თამაში: „ვინ უკეთ, ვინ სწრაფად" გამარჯვებული გუნდების დაჯილდოება. VIII2 კლასის გუნდის კაპიტანს ვ. ბერიაშვილს გამარჯვებისთვის თასი და დიპლომი გადასცა რ. შავლაყაძემ.

უნდა აღინიშნოს, რომ მე-100 საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი (დირექტორი დ. შალამბერიძე, ფიზაღზრდის მასწავლებლები: ი. რონიშვილი და გ. ცერცვაძე) ჯეროვან ყურადღებას უთმობს ფიზიკურ კულტურასა და სპორტს. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ სკოლაში აღიზარდნენ ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი რ. შავლაყაძე, პირველი ქართველი დიდოსტატი ჭადრაკში ბ. გურგენიძე, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში ტ. ალიბეგაშვილი, თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ყოფილი წამყვანი, სპორტის ოსტატი თ. გოჩალეიშვილი, ცნობილი კალათბურთელები ბ. ბოლქვაძე, ლ. ჩხიკვაძე და სხვანი.

უფროსი კოლეგების ნაკვალევზე მიდიან ამჟამინდელი მოსწავლეებიც. სსრ კავშირის სპორტის ოსტატის საპატიო წოდებას ატარებენ: IX კლასელი მ. კომახიძე და X კლასელი თ. გამხიტაშვილი. არიან ოსტატობის კანდიდატებიც და უბრალოდ, ნიჭიერი პერსპექტიული ახალგაზრდები.

**ი. იმერლიშვილი,**
**სპორტის ოსტატი.**

# დაპირება, გულმავიწყობა და თვითნებობა

ყველაზე მეტად ვის უხარია კოლექტივში ახალი ხელმძღვანელის მოსვლა? რა თქმა უნდა, იმას, ვინც კეთილი საქმის მოსარჩლე იყო და ბევრჯერ გაუცრუვდა იმედი. იქნებ მთლად ასე არცაა, მაგრამ ჩვენ ამ დასკვნამდე მას შემდეგ მივედით, რაც გარდაბნის რაიონის სოფელ თელეთის ახალგაზრდობის ხანგრძლივი ხვეწნამუდარის ამბავი გავიგეთ. არა, თელეთელი ახალგაზრდები სოფლის თავკაცებისგან შეუძლებელსა და უცნაურს არაფერს მოითხოვდნენ. ან სპორტული მოედანი მოგვიწყვეთ, ან ნაკვეთი გამოგვიყავით და მოედანს თავად გავაკეთებთო — ეს იყო და ეს მათი სათხოვარი.

თელეთის ექსპერიმენტულ საბჭოთა მეურნეობაში ბოლო წლებში რამდენიმე დირექტორი შეიცვალა. ახალგაზრდობა თავდაპირველად ყოველ მათგანში თანამგრძნობს ხედავდა, მაგრამ მერე თანდათან რწმუნდებოდნენ, რომ სოფლის თავკაცებს საქმეში გულმავიწყობა ეძალებოდათ. დანაპირებს თუ ვინმე შეახსენებდა, სამეურნეო სამუშაოებს ვემურებითო, — ამბობდნენ გაზაფხულზე და ზაფხულში. შემოდგომაზე დიდი და პატარა მოსავალს იწევდა, ზამთარი კი „ახირებულ" სპორტის მოყვარულებს თავისთავად აყინავდა ტუჩებზე სათქმელს.

ლოდინით გაბეზრებულმა ახალგაზრდებმა ზემდგომ ორგანოებსა და რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებსაც არაერთხელ შესჩივლეს ეს ამბავი. სწორედ ამის გამო იყო, რომ მეურნეობის ყოფილმა თავკაცებმა „მიამიტი" ხალხის თვალის ასახვევად სოფლის ცენტრში სტადიონის აგება ბრძანეს. საქმე იმით დამთავრდა, რომ მიწაყრილის მოსწორება დაიწყეს, მაგრამ სათქმელი ხომ მიეცათ. ახალგაზრდების საყვედურს ახლა ისინი საყვედურითვე უპასუხებდნენ: თქვე კაი ხალხო, რა დაგემართათ, ხომ ხედავთ, საქმე დაწყებულია, ბარემ ისეთი სტადიონი ავაშენოთ, სხვისას სჯობდესო. ასე გრძელდებოდა კვირიდან კვირამდე, თვიდან თვემდე, წლიდან წლამდე.

არადა, ფეხბურთის სიყვარული ბიჭებს ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი. ახალგაზრდებს „ოქროს თავთავის" პრიზზე გამართულ რაიონულ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად მეურნეობის მინდვრებში შაბათობაზე გამომუშავებული ფულით შეუძენიათ სპორტული ტანსაცმელი, რათა გუნდს ერთნაირი ფორმა ჰქონოდა. ერთ მშვენიერ დღეს სპორტული ბრიგადის ნაკრები ამ პირველობის ჩემპიონის ტიტულით დაბრუნებულა მშობლიურ სოფელში, მაგრამ სოფლის თავკაცებს გული თურმე ვერც ამან მოულბო.

ამ რამდენიმე წლის წინათ ქვემო თელეთში წყლისთვის ვეებერთელა საგუბარი გაუკეთებიათ. რახან ჩანაფიქრის ხორცშესხმა გაჭიანურებულა, ბიჭებს დროებით ამ ადგილზე დაუწყიათ ბურთის თამაში. მაგრამ საგუბარი მალე დაუშლიათ და სამართლიანადაც, რადგან „მოედნის" თავზე მაღალი ძაბვის ელექტროსადენი გადის. ერთი სიტყვით, თელეთელ ახალგაზრდებს ნატვრად ექცათ მშობლიურ სოფელში ბურთის გასაგორებელი ადგილის გამონახვა.

— ყველა ნაკვეთიდან, სადაც კი გადავწყვიტეთ მოედანი მოგვეწყო, მყისვე გუდა-ნაბადი აგვიკრეს, — სინანულით გვითხრა მეურნეობის აღმრიცხველმა, ფეხბურთელმა ვ. ლალიაშვილმა. როგორც მან და მთავარმა აგრონომმა ტ. კურცხალიამ გვითხრეს, ნაკვეთი ჩვენს მიერ უკვე ხსენებული სტადიონის მოსაწყობად თურმე ოფიციალურად ჯერ არც ყოფილა დამტკიცებული.

თელეთი სულ რამდენიმე კილომეტრითაა დაშორებული თბილისს. დიდ ქალაქთან სიახლოვე ხელს უწყობს ახალგაზრდებში სპორტის პოპულარობას. მაგრამ მათი გატაცების საქმედ ქცევას მარტო ლამაზი სიტყვები და გაუთავებელი დაპირებები არ შველის.

სულ ახლახან მეურნეობას სათავეში ჩაუდგა ახალი ხელმძღვანელობა და იმედი გვაქვს, რომ დაშვებული შეცდომები გამოსწორდება, ახალგაზრდების ინტერესებს მეტი ყურადღება მიექცევა.

**თ. გაჩეჩილაძე.**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**

სოფ. თელეთი,
გარდაბნის რაიონი.

● კიევი, 15 მარტი. ადგილობრივი „სპარტაკის" ხელბურთელმა ქალებმა დღეს აქ მოიგეს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური მატჩი ბელგრადის „რადნიჩკისთან" — 14:8 (8:4). გამარჯვებულთაგან ყველაზე შედეგიანები იყვნენ მ. ლიტოშენკო და ტ. მაკარეცი, სტუმართაგან — ლუკიჩი, თითოეულმა სამ-სამი გოლი გაიტანა. საპასუხო შეხვედრა გაიმართება 23 მარტს ბელგრადში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რითაც ვართ ძლიერნი...

საბჭოთა ძიუდოისტთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ვ. ანდრეევი დაკვირვებული კაცია, თანაც, საინტერესო მოსაუბრე. მან ძირფესვიანად შეისწავლა იაპონური ჭიდაობა, ღრმად ჩაიხედა მის საიდუმლოებებში, პირადად გაიცნო მსოფლიოს თითქმის ყველა მეტნაკლებად ცნობილი ძიუდოისტი, დააგროვა ცოდნის დიდი მარაგი და თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის დღეებში ზოგი რამ ჩვენ, ჟურნალისტებსაც გაგვიზიარა.

ზოგი რამ ძიუდოზე ამ საინტერესო საუბრამდეც ვიცოდით. აი, თუნდაც ის, რომ იაპონურ ჭიდაობას ამომავალი მზის ქვეყანაში ბევრი გულშემატკივარი და მიმდევარი ჰყავს. ამ აზრის დასაბუთებისთვის სრულიადაც არაა აუცილებელი ცოდნის რაღაც გარკვეული მარაგი. ყველასთვის ცნობილია, რომ მასობრიობა განსაზღვრავს პოპულარობას, ან პირიქით, პოპულარობა — მასობრიობას.

მაგრამ ანდრეევთან საუბარმა ჩვენი ცოდნა ძიუდოზე კონკრეტული ფაქტებით განამტკიცა, თუნდაც პოპულარობისა და მასობრიობის საკითხში. იაპონიაში ძიუდოთი გატაცებული ყოფილან არა მარტო ახალგაზრდები ანუ ისინი, ვისაც მკლავიც ერჩის და მუხლიც, არამედ ბავშვებიც, თმათეთრი მოხუცებიც და, ასე გასინჯეთ, ქალებიც.

ერთი შეხედვით აბსურდია, არა? ხალ მშვენიერთა სქესი, კაცობრიობის ყველაზე ნაზი და ნატიფი ნახევარი და ხალ ძიუდო — ძალისა და ხერხის სპორტი თავისი წმინდა კაცური კანონებით.

იმისთვის, რომ უფრო ნათელი გახდეს ამ პოპულარობის მიზეზი, უნდა გავიხსენოთ იაპონური ხასიათის ზოგიერთი დეტალი. მე, მაგალითად, ამ ხასიათს თეთრი ოლიმპიადის დღეებში გავეცანი ჯერ საპოროში, მერე კი თვით ტოკიოში.

იაპონელი ხალხი გამუდმებულ კონფლიქტშია ბუნებასთან და ადამიანებიც სულ მუდამ იმის ცდაში არიან, რაღაც სასარგებლო გამოსტყუონ სტიქიას. მაგრამ იგი, როგორც ცნობილია, უბრძოლველად არც ერთ საიდუმლოებას არ თმობს. ბუნებასთან ბრძოლამ იაპონელებს საოცრად გაწყვითარა თავდაცვის ინსტინქტი. მით უმეტეს, რომ მათი მტერია არა მარტო ბუნების ამოუხსნელი საიდუმლოებანი, არამედ სხვადასხვა ხასიათის სოციალური უკუღმართობაც. და აი, ამ ტიტანურ ბრძოლაში თავდაცვის ინსტინქტი არსებობის შენარჩუნების თავისებურ სისტემად ჩამოყალიბდა. ბრძოლა ბუნების, სოციალური ან ფიზიკური უთანაბრობის წინააღმდეგ მაინც ბრძოლაა და ამ ბრძოლაში იმარჯვებს ის, ვინც თავდაცვის უფრო მეტ და სრულყოფილ ხერხს ფლობს.

ძიუდო, ისევე როგორც მისი შორეული წინაპრები — უხეში ჯიუ-ჯიცუ ან დაუნდობელი კარატე, წმინდა იაპონური მოვლენაა — თავდაცვის თავისებური კომპლექსი, რომელიც დროთა განმავლობაში დაიწურა, დაიხვეწა და სპორტის, უფრო ზუსტად კი ჭიდაობის ორიგინალურ სახედ ჩამოყალიბდა. მაგრამ მისი მთავარი პრინციპი დღესაც მაინც ძალაშია: როგორ უნდა დაიცვას თავი ფიზიკურად უფრო სუსტმა ადამიანმა ძლიერთან ბრძოლაში ძიუდოს გამოყენებით. ძიუდოში იმთავითვე გამორიცხულია უხეში ძალის უპირატესობა. ძიუდო თავისი ბუნებით ჰუმანური სპორტია, ვინაიდან იგი რაღაც შანსებს უტოვებს უფრო სუსტს. აი, ამიტომ ეტანებიან მას აგრერიგად იაპონელები, აი, ამიტომაა იგი ესოდენ პოპულარული ქალებში.

ძიუდოს, როგორც სპორტის სახეობას, იაპონიაში დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ ოფიციალური აღიარება მხოლოდ ამ ათიოდე წლის წინათ მიიღო. ეს მოხდა ტოკიოს ოლიმპიადის დღეებში. ამ პერიოდიდან მოყოლებული ძიუდო ოლიმპიური სახეობაა, ჭეშმარიტად საყოველთაო სპორტი. იაპონელთა მონდომება და სიჯიუტე ამ საკითხში ქებას თუ იმსახურებს მხოლოდ.

ძიუდოს იაპონიაში ორ-ნახევარ მილიონზე მეტი ახალგაზრდა ჭიდაობს (ეს ცნობა სწორედ ანდრეევისგან მივიღებთ). ცხადია, არსად, არც ერთ ქვეყანაში, არ არის ისეთი დიდი და მრავალფეროვანი არჩევანი, როგორც იაპონიაში. ამიტომ არც ის უნდა გვიკვირდეს, რომ იაპონელი ძიუდოისტები დღემდე ინარჩუნებენ პრიორიტეტს საერთაშორისო სარბიელზე.

მაგრამ სწორედ პოპულარობის ასეთმა მაღალმა ხარისხმა განსაზღვრა ის იაპონური ძიუდოს ხიმკაცრეები, რომლებისგანაც, საბედნიეროდ, დაზღვეულია ჩვენი სპორტი. იაპონელ ძიუდოისტს, რომელიც თავისი ქვეყნის ღირსებას იცავს მსოფლიო ჩემპიონატში, ოლიმპიურ თამაშებში, ან ისეთ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაში, როგორიც თბილისის ტრადიციული ტურნირია, არა აქვს უფლება დამარცხდეს. უცხოელთან დამარცხებას იაპონელები ეროვნული თავმოყვარეობის შელახვად მიიჩნევენ. ამიტომ მეორედ ასეთი სპორტსმენი ვერ გამოვა ჩემპიონატში. წაგება შეიძლება მხოლოდ თავისიანთან, ვინაიდან მჯობნის მჯობნი იაპონიაში არ უნდა დაილიოს.

მაშ ასე, ოფიციალურ ტურნირებში იაპონელი მოჭიდავეები იბრძვიან მხოლოდ I ადგილებისთვის და, მაშასადამე, ცხოვრებისთვის, კარიერისთვის. ამის შემდეგ ადვილი გასაგებია, თუ რა ტრაგემა იყო სახელოვანი სასახარასთვის ჩოჩიშვილთან წაგება მიუნხენის ოლიმპიადის დღეებში. გასაგებია ისიც, თუ რატომ იცვლება იაპონიის ნაკრების შემადგენლობა ასე ხშირად. მარცხი უკეთეს შემთხვევაში პედაგოგიურ სარბიელზე გადასვლას ნიშნავს, მაგრამ ამისთვის კიდევ დამატებითი თვისებებია საჭირო.

თბილისის საერთაშორისო ტურნირის დღეებში შოთა ჩოჩიშვილმა, უკვე ოლიმპიურმა ჩემპიონმა, მკაცრი განაჩენი გამოუტანა კიდევ ერთ იაპონელს, სტუდენტთა შორის მსოფლიო ჩემპიონს ნ. სიგემაცუს. ამ შერკინების შემდეგ ფოიეში დიდხანს განმარტოებით საუბრობდნენ დამარცხებული და მისი მწვრთნელი — ოლიმპიადის ყოფილი ჩემპიონი ოკანა (ამბობენ, სპორტიდან ისიც იძულებითაა წასული). ძნელი გასაგები არაა, თუ რა იყო ამ საუბრის თემა, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ოკანამ რამდენიმეჯერ გაიმეორა ზუსტად ის, რაც ჩოჩიშვილმა ლეიბზე გაუკეთა იაპონელს.

ჩოჩიშვილის ავტორიტეტი იაპონიაში, სავსებით გასაგები მიზეზით, ერთობ დიდია. შოთამ საბჭოთა ძიუდოისტებშიც კეთილი სახელი დაიგდო. იგი მართებულად ითვლება სსრ კავშირში ძიუდოს ლიდერად. სხვა რომ არაფერი, ჩოჩიშვილი პირველი საბჭოთა სპორტსმენია ჭიდაობის ამ სახეობაში, რომელიც ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. იაპონელები ძნელად თუ ლათმობენ ხოლმე ამ ტიტულს და, რაკი დათმეს, ეს იმას ნიშნავს, რომ რაღაც საგანგებო შემთხვევა მოხდა. შოთაზე იაპონელი სპეციალისტები ამბობენ, ძიუდოსთვისაა დაბადებული, თავისი ნიჭითა და ბუნებრივი მონაცემებით უცხოელ სპორტსმენთაგან ყველაზე უკეთ ის შეეთვისა ძიუდოსო. ეს, რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ ჩოჩიშვილის წარმატებას სხვა საიდუმლოებაც აქვს, რომელიც ადვილი დასაშვებია, უცხოელმა არც იცოდეს.

შოთა ჩოჩიშვილი, ისევე როგორც ბევრი სხვა მისი თანატოლი, ძიუდოში ქართული ჭიდაობიდან მოვიდა. ეს გარემოება ერთგვარ პრივილეგიას აძლევს ჩემპიონს. ჩოჩიშვილი წმინდა წყლის ქართული მოჭიდავეა, მისი საუკეთესო თვისებების მატარებელი. ქართულმა ჭიდაობამ გაამდიდრა და გააკეთილშობილა ჩოჩიშვილის მსოფლმხედველობა და საშუალება მისცა მას ძიუდო ახლებურად დაენახა.

ჩვენი საუბარი სავსებით ბუნებრივად მიადგა ერთ საინტერესო საკითხს, რომელსაც გვერდს ვერ აუვლი თუნდაც იმიტომ, რომ ბოლო ხანს აშკარად შეიმჩნევა ქართული ჭიდაობის როლის დაუფასებლობის მავნე ტენდენცია. მართლაც, რა ადგილი უკავია ქართულ ჭიდაობას სპორტში? რა როლი ეკისრება მას ჭიდაობის სხვა კლასიკურ სახეობებთან ურთიერთობაში? ბევრი საბჭოთა და უცხოელი სპეციალისტის აზრით, ქართველი ძიუდოისტების წარმატების საიდუმლო, ქართულ ჭიდაობაში უნდა ვეძებოთ. ამიტომაც, სანამ რესპუბლიკის რაიონებსა და სოფლებში პოპულარულია ეროვნული ტრადიცია, საქართველოს არ გამოელევა დელეგატები ნაკრებ გუნდებში.

ამას თამამად აცხადებენ სხვები, მათ შორის სსრ კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელი ვ. ანდრეევი. ამას გრძნობს ყველა, ზოგიერთი ჩვენი სპეციალისტის გარდა.

რამდენიმე წლის წინათ თბილისის საერთაშორისო ტურნირის მონაწილეებსა და სტუმრებს აჩვენეს, თუ რა არის ქართული ჭიდაობა. ცდა იმისა, რომ უფრო პოპულარული გავხადოთ ჩვენი ჭიდაობა, რა თქმა უნდა, სწორია და მისასალმებელი. მით უმეტეს, თვალწინ გვაქვს მაგალითი იაპონელებისა, რომლებმაც ძიუდო ოლიმპიური დისციპლინის რანგამდე აიყვანეს. მაგრამ როცა უცხოელებს ვაცნობთ ჩვენს სიმდიდრეს, გვერწმუნეთ, მეტი სიფრთხილეა საჭირო, მეტი დაკვირვება.

დარწმუნებული ვართ, იმ დღეს სტუმრებზე შთაბეჭდილება მოახდინა მხოლოდ... ზურნისა და დოლის ეგზოტიკამ. თვით სარბიელზე კი რაღაც გაუგებარი რამ ხდებოდა. არც ერთი სარმა, შუაკაური, მოგვერდი ან კისრული! ბატარა ფალავნები (ქართული ჭიდაობის დემონსტრაცია სწორედ მათ ჰქონდათ მინდობილი) არც ერთხელ არ გამართულან წელში, არც ერთხელ არ მისულან ერთმანეთთან ჭეშმარიტი რაინდული, ქართული ჭიდაობისთვის დამახასიათებელი შემართებით. პირიქით, მთელი ამ სანახაობის მიზანი თითქოს იმის ჩვენება იყო, თუ როგორ არ უნდა ვიჭიდაოთ ქართულად.

ცხადია ასეთი პოპულარიზაცია მხოლოდ უკურეაქციას გამოიწვევს და მეტს არაფერს.

იაპონელები ძიუდოს ჭეშმარიტი დიდოსტატები არიან. ეს საქვეყნოდ დადგენილი ფაქტია. მაგრამ აბა დავაკვირდეთ მათ ტექნიკური ხერხების მარაგს! მოგვერდი და კისრული — ამ ორ ილეთზეა დაფუძნებული იაპონელი ძიუდოისტების ყველა ცოტა თუ ბევრად მნიშვნელოვანი წარმატება. მოგვერდი და კისრული! ეს ხომ მშობლიური სიტყვებია ნებისმიერი ბალღისთვის საქართველოში? უფრო მეტიც, ამ ორ ცნობილ ხერხს თამამად შეიძლება დავუმატოთ ათასგვარი სარმები, კაურები, ბრუნები და სხვა ილეთები, ანუ ის საშუალებანი, რომლებსაც ქართულ ჭიდაობაში გამარჯვებისთვის იყენებენ.

მაგრამ იაპონელი მოჭიდავე თავის ორად ორ ხერხს იდეალურად ფლობს: მისი ყოველი ნაბიჯი, ყოველი მოძრაობა უკიდურესად ავტომატიზებულია. ამის მიზეზით ილეთები სრულდება სწრაფად, მსუბუქად და, რაც მთავარია, შექმნილ სიტუაციასთან ორგანულ კავშირში. ეს დიდი ღირსებაა. ესაა კოზირი, რომლის წყალობითაც ძიუდოში უხეში ფიზიკური ძალა ადგილს უთმობს სისწრაფეს, მოხერხებულობას, საზრიანობას.

არც ეს თვისებებია უცხო ქართული ჭიდაობისთვის. ხერხი სჯობია ღონესო, უთქვამს ხალხს და ამ ნათქვამში ჭეშმარიტი სიბრძნე ჩაუქსოვია. მაგრამ ამ ანდაზას მეორე ნაწილიც აქვს: თუ კაცი მოიგონებსა. მოგონება ამ შემთხვევაში მხოლოდ სურვილს როდი გულისხმობს. იგი არ გამორიცხავს ცოდნას და ამ ცოდნის სწორად გამოყენებასაც. არის ბურთი და მოედანი, არის სარბიელი, უამრავი ხერხი და ამ ხერხის გამომყენებელი მოჭიდავე და ბოლოს, არის წლების, საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება. რაღა დარჩა? მხოლოდ სურვილი, მონდომება და კიდევ პატივისცემა იმისა, რაც ტრადიციამ ასე სათუთად შემოგვინახა.

ერთი საერთო ჭირი ამ ბოლო ხანს ჭიდაობასაც დასჩემდა. ეს მოდას აყოლაა, სხვისი გამოცდილებით გატაცება და საკუთარი სიმდიდრის უგულებელყოფა. რა თქმა უნდა, ასეთ პოზიციას მეტწილად ვაი-კრიტიკოსები ადგანან, მაგრამ ვინაიდან ისინი ასე თუ ისე მაინც არსებობენ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ მათს წინააღმდეგ ბრძოლაა საჭირო.

ირანმა და იაპონიამ თავისუფალი ჭიდაობა გაამდიდრეს ეგრეთ წოდებული ფეხებში შევარდნით. ეს ხერხი კონკრეტულ სიტუაციაში გარკვეულ პრივილეგიას უქმნის მოჭიდავეს. მაგრამ სულ მუდამ დაჩოქილ მდგომარეობაში ყოფნა იმის შიშით, რომ მეტოქე ფეხებში არ შეგივარდეს, უკვე თავისთავად ჭიდაობის სილარიბეს ნიშნავს. ვახტანგ ბალავაძისა და ვლადიმერ რუბაშვილის დროსაც იყვნენ მეტოქის ფეხებზე მონადირენი. მაგრამ იყო ქართული ჭიდაობის დაულოცველი ილეთებიც, რომლებსაც, სხვათა შორის, გულმოდგინედ სწავლობდნენ თვით იაპონელებიც და, რომლებსაც ახლა შესანიშნავად იყენებენ უცხოელი მოჭიდავეები. გასაკვირი ისაა, რომ სხვებმა ირწმუნეს ჩვენი სიმდიდრე, ჩვენ კი, მოდით გატაცებულებმა, ნელ-ნელა დავკარგეთ იგი.

ისე ნუ გაგვიგებთ, თითქოს ვეწინააღმდეგებოდეთ სიახლესა და პროგრესს. პირიქით, თუ დღეს სპორტი არ დგას მტკიცე მეცნიერულ საფუძვლებზე, თუ არ ეხმაურება და ანგარიშს არ უწევს ყველა სასარგებლო სიახლეს, იგი განწირულია. მაგრამ თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე დგომა სწორედ იმას ნიშნავს, რომ ძველმა და ახალმა ბუნებრივად მონახონ ერთმანეთი.

ამიტომაცაა ჩვენი მოთხოვნა ერთგვარად კატეგორიული: ავიყვანოთ ქართული ჭიდაობა თანამედროვე მოთხოვნების დონემდე, დავამსხვრიოთ ყველა ხელოვნური ზღვარი ახალსა და ძველს შორის, ვაქციოთ ქართული ჭიდაობა ყველა ან უმრავლესი ჭიდაობის ბუნებრივ საფუძვლად. ვიმეორებთ, საფუძვლად და არა, მის სქემატურ გამოხატულებად. მთლიანად და ამომწურავად უნდა გამოვიყენოთ ის უპირატესობა, რასაც ქართული ჭიდაობა გვიქმნის სხვა ჭიდაობებთან კონტაქტში. ოღონდ მანამდე უნდა ვაღიაროთ ამ უპირატესობის არსებობა.

შოთა ჩოჩიშვილი იმიტომ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი, რომ სპორტში ქართული ჭიდაობიდან მოვიდა. ქართულ ჭიდაობაში აიდგა ფეხი ყველა ჩვენმა მეტ-ნაკლებად ცნობილმა ფალავანმა, მათ შორის არსენ მეკოკიშვილმა და მირიან ცალქალამანიძემ, გოგი ხხირტლაძემ და ვახტანგ ბალავაძემ დავით ციმაკურიძემ და ვლადიმერ რუბაშვილმა. თვით გივი კარტოზიაც კი, რომელიც გარეგნულად თითქოს შორს იდგა ქართული ჭიდაობისგან, სპორტში თავისი კარის მეზობლების, ესებულების გავლენით მოვიდა. სწორედ ქართულმა ჭიდაობამ გაუთქვა სახელი ჩვენი ფალავნების მკლავისა და მუხლის ძალას. ეს არ უნდა დავივიწყოთ. ეს ქართველ კაცს სხვამ არ უნდა გაახსენოს.

ბოლო დროს მნიშვნელოვნად გაძლიერდა ინტერესი სპორტის ეროვნული სახეობების აღორძინებისადმი. მაგრამ ამ ინტერესების სფერო და აღორძინების ტემპები მაინც უკმარია. სხვას რომ თავი დავანებოთ, რამდენი წელია ვერ მოხერხდა ქართული ჭიდაობის ერთიანი წესების დადგენა-შემუშავება!

საქართველოში ბევრია სპორტით დაინტერესებული სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულება. იწერება დისერტაციები და შრომები ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხებზე. ორგანიზაციიდან ორგანიზაციისკენ დაფრინავს უამრავი ცირკულარული და დირექტიული დოკუმენტი. მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ გამოიძებნა სიტყვიდან საქმეზე გადასვლის უფრო ეფექტური საშუალება, ვიდრე სურვილები და დაპირებებია. ასე იქნება ალბათ მანამ, სანამ არ ვირწმუნებთ ერთ უბრალო ჭეშმარიტებას: ქართულმა ჭიდაობამ დიდი ამაგი დასდო ჩვენი სპორტის ავტორიტეტს, სახელსა და პოპულარობას.

ნ. ბუზუშვილი.

თბილისის ს. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის სპორტკლუბმა „გამარჯვებამ" და კომკავშირის კომიტეტმა ერთობლივი ღონისძიება მოაწყვეს: ჩაატარეს ტეჯიბრება სათხილამურო რბოლასა და ტურისტულ ლაშქრობაში მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად. ეს ღონისძიება მათ სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის გახსნას დაუკავშირეს. 68 ჭაბუკი და 24 ქალიშვილი სოფელ დიდ ცემში, ქარხნის სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბაზაში დაბინავდა. 9 მარტს მათ მოაწყვეს ლაშქრობა ბაზიდან ბაკურიანამდე, გაიარეს 19 კილომეტრი და დაესწრნენ სპარტაკიადის საზეიმო გახსნას. სათხილამურო რბოლის მოწყობა ვერ მოხერხდა, მაგრამ მძლეოსნურ კროსში გოგონებმაც და ჭაბუკებმაც მშდ კომპლექსის ნორმატივები ჩააბარეს.

ფ. კოლესიძე.

სურათზე: გოგონათა ლაშქრობის მომენტი.



თ. მახარაშვილის ფოტო.

# ნაყოფიერი მუშაობის შედეგი

დოსააფის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტმა, რომელსაც სათავეში გადამდგარი პოდპოლკოვნიკი შ. ლემონჯავა უდგას, შარშან რესპუბლიკის დოსააფის კოლექტივთა სოციალისტურ შეჯიბრებაში მეოთხე ზონაში I ადგილი დაიკავა.

სპორტის ტექნიკურ სახეობებში ასობით კაცი ეჯიბრებოდა ერთმანეთს. მშდ კომპლექსის ნორმატივები უმეტესობამ ჩააბარა. დოსააფის საქალაქო კომიტეტი შარშან ათასზე მეტ წევრს აერთიანებდა. გადაჭარბებით შესრულდა გასული წლის ფინანსური გეგმა. ჩატარდა 500-მდე საუბარი, მოეწყო შეხვედრები სამამულო ომის ვეტერანებთან და შრომის გმირებთან.

ნაყოფიერი მუშაობით თავი ისახელეს აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის, ავტოსატრანსპორტო საწარმოს, საქალაქო ავტოსკოლის, ენგურჰესის სამმართველოს, საბეროს ძალოვანი კვანძისა და სხვა პირველადმა ორგანიზაციებმა.

გ. ალშიბაია.

ზუგდიდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მომავალ შეხვედრამდე იქ, მთებში, იუბილარო!



ტოლ-ამხანაგებთან ერთად ანცობდა ძველი სიღნაღის ორღობეებში პატარა გოგონა. დროდადრო მწვერვალებისკენ... ჩუმად კავკასიონისკენ გაეპარებოდა. საღამოს, დაღლილ-დაქანცულს თოვლყინულეთზე ფიქრში ჩაეძინებოდა ხოლმე. ახლა იგი ყვავილებში ჩაფლულ სავარძელში იჯდა. სიამოვნებით ღებულობდა მილოცვებს, თაიგულებს, საჩუქრებს... თავისი საყვარელი კავკასიონის მწვერვალებივით თმათეთრ მანდილოსანს დაბადებიდან 70 წლისთავის იუბილეს უხდიდნენ რუსთავის საქალაქო ქალთა საბჭო, ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტი და საზოგადოება „ცოდნის" საქალაქო ორგანიზაციის გამგეობა.

ვუყურებდი იუბილარს და მახსენდებოდა ჩვენი შორეული ლაშქრობა, რომელიც თბილისის უნივერსიტეტმა მოაწყო მყინვარწვერზე. მაგონდებოდა მისი ბუტბუტი: „უნდა ავიდე, აუცილებლად დავიპყრობ", „აბა, მარო, ყოჩაღად. მყინვარწვერი აუცილებლად უნდა დაიპყრო!" ამ სიტყვებით იგი თავისთავს ამხნევებდა.

ალბათ მიხვდით, ეს იუბილარი მარო ტყავაძეა, სახელოვანი მთამსვლელი, რომელმაც პროფესორ გ. ნიკოლაძის 18-კაციან ჯგუფთან ერთად 1923 წლის 28 აგვისტოს პირველი ბრწყინვალე ფურცელი შეავსო საბჭოთა ალპინიზმის მატიანეში. თავმომწონე „ხევის პატარძალმა" 50 წლის შემდეგაც არ მოიხარა ქედი, მარო ტყავაძეს ყველამ სიხარულით მივულოცეთ 4700 მეტრი სიმაღლის მწვერვალ „სპარტაკის" დაპყრობა.

... იგი ყვავილებში ჩაფლულ სავარძელში იჯდა. მოგონებებით ვამოდიოდნენ მთამსვლელები, მისი კოლეგები — ელექტრონინჟინრები რუსთავის მეტალურგიული ქარხნიდან. მათ გაიხსენეს, როგორ დაიპყრეს მარო ტყავაძემ და მისმა მეგობრებმა ერთი უსახელო მწვერვალი ხდის ხეობაში, რომელსაც თავიანთი საყვარელი ქალაქის — რუსთავის სახელი უწოდეს. მოიგონეს ისიც, რომ მარო ტყავაძის უშუალო მონაწილეობითაა დახონტაჟებული მოსკოვ-ვოლგის კაშხალი, ელექტროსადგური აჭარისწყალზე, თბოსადგური არგანზე.

აკი დაუფასეს კიდეც ამაგი: მარო ტყავაძე საქალაქო საბჭოს დეპუტატია. ხანგრძლივი საინჟინრო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის იგი დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

— მოგონებები, მოგონებები.

... იგი ყვავილებში ჩაფლულ სავარძელში იჯდა. ღიმილით ღებულობდა მილოცვებს, თაიგულებს, საჩუქრებს... ყველაზე მეტად მაშინ აუციმციმდა თვალები, როდესაც მთამსვლელის წერაყინი და ზურგჩანთა მიართვეს. ამ დროს ყველაზე ძლიერად იქუხა ტაშმა. იუბილარს ხომ კვლავ ელიან მთები, ამაყი, ზვიადი მწვერვალები (ქალიატობმა მარომ ეს „საიდუმლოდ" გაგვანდო).

მომავალ შეხვედრამდე იქ, მთებში, იუბილარო!

ა. ბურასაშვილი,
(ჩვენი სპეც. კორ.).
რუსთავი.

* * *

სურათზე: მ. ტყავაძე.

ავტორის ფოტო.

---

# სპორტლოტო

## მორიგი ტირაჟის შედეგები

10 მარტს მოსკოვში მოეწყო „სპორტლოტოს" და „სპორტლოტო-2"-ის მორიგი ტირაჟები.

„სპორტლოტო": ექვსი ნომერი ვერავინ გამოიცნო. სამაგიეროდ, ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 4953 მანეთია, ოთხისთვის — 93, სამისთვის — 4.

„სპორტლოტო-2": ექვსი ნომერი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 2627 მანეთია, ოთხისთვის — 55, სამისთვის — 3.

მოგებული თანხა გაიცემა 21 მარტიდან 20 აპრილის ჩათვლით.

* * *

სპორტს უყვარს შეუპოვარი ხალხი. იგივე შეიძლება ითქვას „სპორტლოტოზე". სამგორის მუშათა კოოპერატივის მუშაკი რ. შაველაშვილი ამ თამაშის დიდი თაყვანისმცემელია და ყოველი ტირაჟისთვის ყიდულობს ბილეთებს. მე-3 ტირაჟში მან 10 ბილეთი შეიძინა, რომლებიც მისმა ქალიშვილმა შეავსო. ერთ-ერთ ბილეთს 2764 მანეთი მოგება ხვდა. იმავე ტირაჟში ბედმა გაუღიმა ზუგდიდის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეს დ. ნადარეიშვილს. მან „სპორტლოტო-2"-ის 15 ბილეთი შეიძინა და ხუთი ნომრის გამოცნობისთვის 4022 მანეთი მიიღო.

ეს წელიწადი წარმატებით დაიწყო „სპორტლოტოს" ფოთელი გულშემატკივრებისთვისაც. მე-4 ტირაჟში წარმატებით ითამაშა ფოთის ს. ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელი ქარხნის მუშამ ა. ნასარაიამ. მან ხუთი ნომერი გამოიცნო და უკვე მიიღო 1415 მანეთი. მე-6 ტირაჟში ისევ გაუღიმა ბედმა ფოთელებს. უსინათლოთა საზოგადოების ერთ-ერთი საამქროს ოსტატის მ. ფაჩულიას ოჯახმა 4338 მანეთი მოიგო. მე-6 ტირაჟში გემ „ყუბანი—3"-ის მექანიკოსმა ბ. ქირიაკოვმა ფოთში სპორტული ლატარიის ხუთი ბილეთი იყიდა და ხუთივე იღბლიანი აღმოჩნდა. ერთ ბილეთზე მექანიკოსმა გამოიცნო ხუთი ნომერი, ხოლო ოთხზე — 3-3. სულ ბ. ქირიაკოვმა 3109 მანეთი მიიღო.

---

## ლელოს ტელეფონით

# პირველი ყაიმი

*ბელგრადი. 8 მარტისადმი მიძღვნილ მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირში გაიმართა IX ტური, სადაც მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა ნ. გაფრინდაშვილმა ნახევარი ქულა დაკარგა.*

გუშინწინ „ლელოს" კორესპონდენტი ტელეფონით ესაუბრა ნონას.

— 15 მარტს IX ტურში შავებით ვეთამაშე იუგოსლაველ ლაზარევიჩს. შუა თამაშში მეტოქეს პაიკი მოვუგე, მაგრამ რამდენიმე სვლის შემდეგ მისი მუქარა ვერ შევნიშნე და ლაზარევიჩმა პაიკი დაიბრუნა. შეიქმნა საყაიმო მდგომარეობა და მალე დავზავდით.

ყაიმით დაამთავრა პარტია ჩემმა უახლოესმა მეტოქემ ვერეციმაც (უნგრეთი). იგი ყაიმზე შეუთანხმდა იუგოსლაველ კ. იოვანოვიჩს.

ამ ტურში ერთადერთი მოგება იზეიმა შტადლერმა (იუგოსლავია) თანამემამულე სებრიჩთან შეხვედრაში.

ვოკრუალოვა (ჩეხოსლოვაკია) — მედიანიკოვას, კალხბრენერ (იუგოსლავია) — რაძიკოვსკას (პოლონეთი), ვასნეცკი (გფრ) — პიხაილოჩისა და ბოჟკოვიჩ — მარკოვიჩის (სამივე — იუგოსლავია) პარტიები გადაიდო.

9 ტურის შემდეგ 8,5 ქულა მაქვს. 7 ქულით II ადგილზეა ვერეცი. დაუმარცხებლად სწორედ ჩვენ ვიბრძვით და ამდენად საინტერესო იქნება ჩვენი შეხვედრა, რომელიც გაიმართება შაბათს, X ტურში.

---



## სამი მატჩი

გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის სამი მატჩი.

**მოსკოვი.** ადგილობრივმა დინამოელებმა თავიანთ თბილისელ თანაკლუბელებს უმასპინძლეს და დაამარცხეს ისინი—92:71 (42:33).

**კაუნასი.** ადგილობრივმა „ჟალგირისმა" დაამარცხა ლიდერთა ჯგუფში მყოფი კიევის „სტროიტელი" — 91:83 (46:42).

**მინსკი.** რადიოტექნიკის ინსტიტუტის კალათბურთელებმა მეექვსე გამარჯვება იზეიმეს: მოუგეს კიევის არმიელებს — 80:77 (43:40).

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 16 მარტისთვის**

| | თ. | მ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ცსკა | 22 | 21 | 1983—1696 | 21 |
| „სპარტაკი" | 21 | 17 | 1614—1430 | 17 |
| „სტროიტ." | 22 | 13 | 1884—1789 | 13 |
| „დინ." (მ.) | 21 | 12 | 1709—1642 | 12 |
| „კალევი" | 22 | 11 | 1788—1721 | 11 |
| „დინ." (თბ.) | 22 | 9 | 1678—1759 | 9 |
| „ჟალგირისი" | 21 | 8 | 1643—1687 | 8 |
| რტი | 21 | 6 | 1481—1732 | 6 |
| ასკ (რიგა) | 20 | 5 | 1540—1721 | 5 |
| ასკ (კიევი) | 22 | 5 | 1658—1801 | 5 |




## 0:0

ნალჩიკის „სპარტაკისა" და ცსკა-ს ფეხბურთელები სსრ კავშირის თასის პირველ მეთექვსმეტედფინალურ მატჩში შეხვდნენ ერთმანეთს ფოთში.

ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო ბურთის გატანა — 0:0.

# დაიწყო მესამე ტური

ლენინგრადსა და ვოროშილოვგრადში განახლდა ფრენბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი. დაიწყო მესამე ტურის მატჩები.

ლენინგრადში პირველი დღის სამივე მატჩი ერთნაირი ანგარიშით — 3:0 დამთავრდა. „ადგილობრივმა „დინამომ" და „ავტომობილისტმა", აგრეთვე, რიგის რადიოტექნიკამა" დაამარცხეს შესაბამისად ოდესის ტექნოლოგიის ინსტიტუტის, კიევის „ლოკომოტივისა" და ალმა-ათის „დოროჟნიკის" გუნდები. მეორე დღის მატჩები ასე დამთავრდა: „დოროჟნიკი" — ტექნოლოგიის ინსტიტუტი 3:1, „რადიოტექნიკი" — „ლოკომოტივი" 3:1, „ავტომობილისტი" — „დინამო" 3:0.

ვოროშილოვგრადში პირველი დღის მატჩებმა ასეთი შედეგები მოგვცა: ასკ (დონის როსტოვი) — მოსკოვის „დინამო" 3:0, ცსკა — „ავტომობილისტი" (დნეპროპეტროვსკი) 3:1. ორ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა მეორე დღეს ადგილობრივი „ზვეზდისა" და დნეპროპეტროვსკის „ავტომობილისტის" შეხვედრა. დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვეს ვოროშილოვგრადელებმა — 3:2. მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის სპორტსმენებმა დაამარცხეს თანაქალაქელი დინამოელები — 3:2, მოსკოველმა არმიელებმა თავიანთი როსტოველი თანაკლუბელები — 3:0.

---

# საქმეში ჩაერია ...არითმეტიკა

მაგიდის ჩოგბურთელთა ევროპის ლიგის მორიგ პირველობაში გამარჯვებული გუნდი მხოლოდ შეჯიბრების დამთავრებიდან ორი დღის შემდეგ გამოვლინდა. ეს გახლავთ უნგრეთის ნაკრები. ბოლო შვიდ ასეთ ტურნირში პირველად მოხდა, რომ ორ გუნდს ერთნაირი ჰქონდა არა მარტო ქულები, არამედ მოგებული და წაგებული თამაშების შეფარდებაც. უნგრელებს, ისევე როგორც შვედებს, ხუთი გამარჯვება დაუგროვდათ. თამაშების ანგარიშია 32:10. საჭირო შეიქნა პარტიების ანგარიშის გათვალისწინებაც. უნგრელების შედეგი იყო — 70:29, შვედებისა კი — 70:30.

საბჭოთა ნაკრებს, შარშანდელ ტურნირში გამარჯვებულს, ოთხი მოგებითა და ორი წაგებით ამჯერად III ადგილი ერგო. ასეთივე მაჩვენებლები ჰქონდათ ჩეხოსლოვაკიელებს, მაგრამ შემდგომი ანგარიშით უპირატესობა საბჭოთა ჩოგბურთელთა მხარეს იყო.

V ადგილზე არიან ინგლისელები, VI — გფრ-ის ჩოგბურთელები, ხოლო VII — ავსტრიის ნაკრები. მორიგ ტურნირში ავსტრიელთა ნაცვლად იასპარეზებენ საფრანგეთის ან პოლონეთის სპორტსმენები.

# უნივერსიადა — ბელგრადში

1975 წლის 11-25 სექტემბერს იუგოსლავიის დედაქალაქი უმასპინძლებს მორიგ საზაფხულო უნივერსიადას, — ასე გადაწყვიტა საუნივერსიტეტო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის მუდმივი კომიტეტის აღმასკომმა თავის სხდომაზე იტალიის ქალაქ ტურინში. უნივერსიადისთვის ტრადიციული სახეობების — მძლეოსნობის, ცურვის, წყალში ხტომის, კალათბურთის. ფრენბურთის, წყალბურთის, ტანვარჯიშის, ფარიკაობისა და ჩოგბურთის გარდა, შეჯიბრებები ჩატარდება კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაშიც. ეს ორი სახეობა „უნივერსიადა — 75-ის" მასპინძლებმა წამოაყენეს.

---

## შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში პირველ გვერდზე დაბეჭდილ მასალაში „საქართველოს სსრ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფიზკულტურულ კოლექტივებს, საქართველოს სოფლების ყველა ფიზკულტურელსა და სპორტსმენს" მახარაძის რაიონის ნატანების კოლმეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივის მიმართვის ტექსტში ზევიდან მე-7 აბზაცის პირველი და მეორე სტრიქონები უნდა იკითხებოდეს ასე: „შარშან ჩვენს კოლმეურნეობაში მომზადდა 9 პირველთანრიგოსანი, 135 სხვადასხვა თანრიგის სპორტსმენი, 172 მშდ კომპლექსის ნიშნოსანი, 38 სა..." და შემდეგ როგორც ტექსტშია.

---

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

---

## „ლოკომოტივის" სტადიონი

(ი. ჭავჭავაძის პროსპ. № 74)



18 მარტს

სსრ კავშირის თასი

(მეთექვსმეტედფინალი)

„დინამო" (თბილისი) — „პამირი" (დუშანბე)

დასაწყისი 18 ს. 30 წ.

ბილეთები გაიყიდება თამაშის დღეს დილის 10 საათიდან სტადიონის სალაროებში.

---

## თბილისი სპორტულ ვაგზალი

**ფეხბურთი.** მოზარდთა რესპუბლიკური ჩემპიონატი. 17 მარტი. „ისნის" სტადიონი. „განთიადი" (თბილისი) — „მეტალურგი" (რუსთავი). დასაწყისი 12 ს. მაუდ-კამვოლის კომბინატის სტადიონი. განათლების განყოფილება (თბილისი) — აზ. საფეხბ. სკოლა (თელავი). 12 ს. „დინამოს" ბაზა დიღომში. „დინამო" (თბილისი) — „ავაზა" (თბილისი). 14 ს.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 02511